

## **ორგანიზაციის ქონებრივი პოტენციალის სტრუქტურისა და უმეადგენლობის დინამიკის ანალიზი**

**ქეთევან კინწმარიშვილი**

ეკონომიკის დოქტორი

ორგანიზაციის ქონებრივი პოტენციალის ანალიზი იწყება ბალანსის აქტივის მონაცემებით, ორგანიზაციის ქონების საერთო შეფასებით. ერთის მხრივ, ბალანსის აქტივში აისახება საწარმოს პოტენციალი, რომელიც ასახავს ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის (საწარმოო და კომერციული) განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო მეორეს მხრივ, – აქტივები, რომლებიც ქმნიან ფინანსური და საინვესტიციო საქმიანობის პირობებს.

ბალანსის ანალიზი გვეხმარება თვალი მივადევნოთ ქონების ცვლას, გამოვყოთ საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივები, შევისწავლოთ ქონების სტრუქტურის დინამიკა, ე.ი. თანაფარდობა ქონების ცალკეულ ჯგუფებსა და მუხლებს შორის (ამ ჯგუფების შიგნით).

ქონების შემადგენლობისა და სტრუქტურის დინამიკის ანალიზი შესაძლებელს ხდის დავადგინოთ ორგანიზაციის მთელი ქონებისა და მისი ცალკეული სახეების აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდის ან შემცირების სიდიდე. აქტივის ზრდა (შემცირება) გვიჩვენებს ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოებას (შემცირებას).

ქონებრივი პოტენციალის ანალიზის დროს გამოიყენება როგორც განზოგადოებული მაჩვენებლები, ისე კერძო მაჩვენებლებიც, რომლებიც ეხება მის ცალკეულ შემადგენლებს. ყველაზე მეტად ინფორმაციულია შემდეგი მაჩვენებლები:

სამეურნეო სახსრების ჯამი, რომელიც არსებობს ორგანიზაციის ბალანსზე – ესაა მაჩვენებელი, რომელიც იძლევა ორგანიზაციის ქონების სიდიდის, როგორც ერთი მთელის განზოგადოებულ შეფასებას. მაჩვენებლის სიდიდის განსაზღვრის დროს ბალანსიდან უნდა ამოვიღოთ ის მუხლები, რომლებიც მალლა სწევნ მის მაჩვენებელს. მოცემული ჯამი წარმოადგენს ორგანიზაციის აქტივების სააღრიცხვო შეფასებას და შესაძლოა არ დაემთხვეს მათ საბაზრო ფასს.

საანგარიშო პერიოდში, აქტივების ზრდის (აბსოლუტური მაჩვენებელი) ანალიზის ჩატარებისას, აუცილებელია ძირითადი სახსრების გადაფასების გავლენის გათვალისწინება. ე.ი. როდესაც ძირითადი

სახსრების ღირებულების ზრდა არ უკავშირდება წარმოებითი საქმიანობის განვითარებას. ასევე, აუცილებელია იმის გარკვევა, ხომ არ არის ბალანსის ვალუტის გაძვირების მიზეზი მზა პროდუქციის გაძვირება, ან ინფლაციით გამოწვეული ნედლეულის გაძვირება, ან იგი წარმოადგენს ორგანიზაციის ფინანსურ — სამეურნეო საქმიანობის გაფართოების შედეგს.

საანგარიშო პერიოდში ბალანსის ვალუტის შემცირება ადასტურებს ორგანიზაციის მიერ თავისი სამეურნეო საქმიანობის შეკვეცას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მისი გადახდაუნარიობა. აღნიშნული ფაქტის დასადაგენად აუცილებელია მისი გამომწვევი მიზეზების დეტალური ანალიზის ჩატარება. კერძოდ:

- მოცემული ორგანიზაციის პროდუქციაზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირება;
- ბაზრებზე აუცილებელი ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების შესვლის შეზღუდვა.

ორგანიზაციის წმინდა აქტივების ღირებულება მიახლოებით შეიძლება განისაზღვროს, როგორც სხვაობა ორგანიზაციის საკუთარ კაპიტალსა და დაგროვილი ზარალების (ბალანსის მიხედვით) ჯამურ რაოდენობას შორის. აღნიშნული მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სააქციო საზოგადოებების საქმიანობაში, რადგანაც მის მნიშვნელობაზე შესაძლოა დამოკიდებული იყოს სახსრების წყაროების სიდიდე, სტრუქტურა და აქციონერებისთვის დივიდენდების გაცემა.

საბრუნავი და არასაბრუნავი აქტივების თანაფარდობა გამოითვლება ბალანსის შესაბამისი ნაწილების შედეგების ერთმანეთზე გაყოფით. ეს მაჩვენებელი გამოხატავს გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული ერთეულების იმ რაოდენობას, რომელიც მოდის საბრუნავ სახსრებში დაბანდებულ ერთ ერთეულზე.

ე.ი. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით ნაკლებადაა მიმზიდველი მოცემული ორგანიზაცია საინვესტიციო თვალსაზრისით: მაღალია საწარმოო რისკები, რადგან გრძელვადიან აქტივებში ჩადებული დაბანდებები უნდა ანაზღაურდეს მომავალი შემოსავლების ხარჯზე.

მეორე მხრივ, ქონებაში საბრუნავი აქტივების წილის ზრდა შეიძლება ნიშნავდეს:

- აქტივების უფრო მობილური სტრუქტურის ფორმირებას, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის სახსრების ბრუნვის დაჩქარებას;
- მიმდინარე აქტივების ნაწილის გადატანას მზა პროდუქციის მომ-

ხმარებლების დასაკრედიტებლად, რაც ადასტურებს საბრუნავი სახსრების ამ ნაწილის ფაქტიურ იმობილიზაციას;

– ორგანიზაციის საწარმოო ბაზის გაუქმებას და ა.შ.

**არასაბრუნავი აქტივების სტრუქტურის კოეფიციენტები.** ამ შემთხვევაში ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს არასაბრუნავი აქტივების სტრუქტურას. მიზანშეწონილია მისი ანალიზი ჩატარდეს შემდეგი სახეების მიხედვით:

1. მატერიალური აქტივები. ორგანიზაციის ქონების შემადგენლობაში მათი არსებობა ინოვაციურად ახასიათებს საწარმოს მიერ არჩეულ სტრატეგიას, რადგანაც იგი აბანდებს სახსრებს პატენტებში, ლიცენზიებში და სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაში.

2. ძირითადი საშუალებები. ეს მაჩვენებელი მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის საწარმოო სფეროს ქონებრივი პოტენციალის შესაფასებლად. ამ შემთხვევაში ძირითადი სახსრები წარმოადგენს წამყვან მატერიალურ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მოგების გენერირების შესაძლებლობებს. აღნიშნული მაჩვენებლის გამოყენება ორგანიზაციის საქმიანობის შესაფასებლად საკმაოდ რთულია, რადგანაც სარეკომენდაციო მონაცემები უბრალოდ არ არსებობს იმ მიზეზის გამო, რომ მაჩვენებლების სიდიდე იცვლება ფართო დიაპაზონში, როგორც დარგების მიხედვით, ისე, დარგების შიგნითაც.

3. დაუსრულებელი მშენებლობები. გარკვეულ პირობებში დაუსრულებელი მშენებლობის წილის ზრდამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს ორგანიზაციის ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე, რადგანაც „დაუსრულებელი მშენებლობის“ მუხლი არ არის გათვალისწინებული საწარმოო ბრუნვაში.

4. გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები. მათი არსებობა უჩვენებს ორგანიზაციის მიერ განხორციელებული დაბანდებების ინვესტიციურ მიმართულებას, რომელიც განსაზღვრულ პირობებში შეიძლება შეფასდეს საწარმოს საქმიანობის პოზიტიურ მომენტად.

**საბრუნავი აქტივების სტრუქტურის კოეფიციენტი.** ამ შემთხვევაში ანალიზისთვის მნიშვნელობა აქვს, როგორც საბრუნავი აქტივების (მაგ., სრულიად და იოლად რეალიზებადი აქტივების შეფარდება) სტრუქტურას, ისე იმ სახის აქტივების წილს, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის. ესენია: საწარმოო მარაგები, დაუსრულებელი წარმოება, მზა პროდუქცია, დებიტორული დავალიანება, ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ფინანსური

დაბანდებები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საწარმოო მარაგების ხვედრითი წონის შეცვლას. მისი გაზრდა მიუთითებს:

- ორგანიზაციის საწარმოო პოტენციალის ზრდაზე;
- მისწრაფებაზე, რომ საწარმოო მარაგებში განხორციელებული

დაბანდებების ხარჯზე დაცული იყოს ორგანიზაციის ფულადი აქტივები ინფლაციით გამოწვეული გაუფასურებისგან;

- არჩეული სამეურნეო სტრატეგიის არარაციონალურობაზე.

არამატერიალური აქტივების ხვედრითი წონა ქვეყნის ორგანიზაციების ქონებაში დღეისათვის არ არის დიდი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით. ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა პრაქტიკულ საქმიანობაში წინ უნდა წამოსწიონ ეკონომიკური ინტერესი, რომელიც უკავშირდება ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებით სარგებლობის განსაკუთრებული უფლებების (შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით) გამოყენებას. ამ ინტერესის რეალიზაცია მოითხოვს არამატერიალური აქტივების მართვის ალრიცხვა-ანალიზური უზრუნველყოფის წინსწრებით განვითარებას.

შეიძლება გამოვყოთ ორგანიზაციის არამატერიალური აქტივების ანალიზის შემდეგი ამოცანები:

- არამატერიალური აქტივების მოცულობისა და დინამიკის ანალიზი;
- არამატერიალური აქტივების სტრუქტურისა და მდგომარეობის ანალიზი სახეობების, სასარგებლოდ გამოყენების ვადების და სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით;
- მათი შემოსავლიანობის ანალიზი;
- არამატერიალურ აქტივებში კაპიტალის დაბანდების რისკის ხარისხის და ლიკვიდურობის ანალიზი.

არამატერიალური აქტივები არაერთგვაროვანია თავისი შემადგენლობის, წარმოების პროცესში გამოყენების ან ექსპლუატაციის ხასიათის, ფინანსურ მდგომარეობაზე და სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე გავლენის ხარისხის მიხედვით. ამიტომ, მათი შეფასებისას საჭიროა დიფერენცირებული მიდგომა, რისთვისაც ტარდება არამატერიალური აქტივების კლასიფიკაცია და დაჯგუფება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არამატერიალური აქტივების სტრუქტურის ანალიზი და შეფასება შემდეგი საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით.

1) შემოსული (შეძენილი) წყაროების მიხედვით: შემოტანილი დამფუძნებლების მიერ; შეძენილი საფასურის ფასად ან გაცვლილი სხვა ქონებაზე; უსასყიდლოდ მიღებული ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ; სახელმწიფო ორგანოების სუფსიდიები;

2) სახეობების მიხედვით: უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე; უფლებები ბუნებრივი და სხვა რესურსებითა და საკუთრებით სარგებლობაზე; საორგანიზაციო და სხვა ხარჯები;

3) სამართლებრივი დაცვის ხარისხის მიხედვით: გამოგონებაზე პატენტებით, დარეგისტრირებული ლიცენზიებით, მოწმობებით სასარგებლო მოდელზე, სამრეწველო ნიმუშებზე პატენტებით, სასაქონლო ნიშანზე მოწმობებით, საქონლის წარმომავლობის ადგილთა სახელწოდებებით სარგებლობის უფლების მოწმობებით, (ეგმ) პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ოფიციალური სარეგისტრაციო მოწმობებით, საავტორო უფლებებით;

4) პრესტიჟულობის ხარისხის მიხედვით: საერთაშორისო დონე, საერთო ეროვნული დონე, დარგობრივი ან რეგიონული დონე;

5) არამატერიალურ აქტივებში კაპიტალის დაბანდების ლიკვიდურობისა და რისკის ხარისხის მიხედვით: მაღალი ლიკვიდურობის, შეზღუდული ლიკვიდურობის (საშუალო ჯგუფი), დაბალი ლიკვიდურობის;

6) წარმოებაში გამოყენების ხარისხის მიხედვით (წარმოების შემოსავლიანობის გაზრდის პოზიციიდან).

არამატერიალური აქტივების გამოყენებით მიღებული რაოდენობრივი ეფექტი გამოხატულია სამეურნეო საქმიანობის საერთო შედეგებში, კერძოდ:

- წარმოების ხარჯების შემცირებაში;
- პროდუქციის გასაღების მოცულობის ზრდაში;
- მოგების გაზრდაში;
- გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის გადიდებაში.

არამატერიალური აქტივების დინამიკის მართვის ძირითადი პრინციპებია:

1) კაპიტალის უკუგების ზრდის ტემპი (არამატერიალური აქტივების შემოსავლიანობის) წინ უნდა უსწრებდეს კაპიტალის ხარჯების ზრდის ტემპებს;

2) ამონაგების ან მოგების ზრდის ტემპი წინ უნდა უსწრებდეს არამატერიალური აქტივების ზრდის ტემპს.